# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 305. | ხუთშაბათი, 7 აპრილი 1905 წ. | გაზეთის № 27901.

### მეჯლისი ბალტაზარისა

(რუსულიდან)

მეჯლისობს მეფე და დიდებულნი,
ბრწყინვალე ტახტსა ირგვლივ არტყიან,
ტურფა დარბაზი განათებულა
და ვარსკვლავებად ჭაღები კრთიან.
უღირსს სუფრაზე ღმერთებისათვის
ოქროს ჭურჭელში წკრიალებს ღვინო,
მაგრამ, ოჰ, უცებ, საკვირველება!
მათ ჩაუმწარდათ სუფრა სალხინო!
კედელზე რაღაც ხელი გამოჩნდა
და საიდუმლოდ მან დააწერა.
რა არის იგი? ვერვინ კითხულობს.
მეფე შეკრთა და გაშტერა.
შიშით აღიგზნო მისი თვალები,
ეცვალა ფერი, ის აკანკალდა,
თითქოს მსაჯულის წარსდგა წინაშე
და აეხადა მის ცოდვებს ფარდა.
მაშინ უბრძანა მან დიდებულებს:
დაუძახევით გრძნეულთ და ბრძენებს,
ჩაგვიშხამდა სუფრა, ვინ გამოიცნობს
ამ საიდუმლო ხელის წარწერებს?
ქალდეა ბრძენთა სამშობლო არის,
დიდი აქვთ ცოდნა, გამოცდილება,
მაგრამ წარწერის წინ ჩუმად სდგანან,
უფროსს და უმცროსს ენა დაება!
ბაბილონიდან მოხუც გრძნეულსა
აქ მოუწოდეს, სხვებიც მოვიდნენ,
მაგრამ ისინიც გაჩუმებულან,
ამ წარწერის წინ შეკრთნენ, განცვიფრდნენ.
მაშინ ერთმა ტყვემ, ციხისა მსხვერპლმა,
აუხსნა მეფეს იგი წარწერა,
და დიდით უკვე აღსრულდა მეფის
აუცდენელი ბედისა წერა:
„მაგარი ბჭენი ბაბილონისა
„მთლად დაინგრევა, მას ვერ ასცდება,
„თვითონ ბალტაზარ მაღალ ტახტიდან
„ხვალე საფლავში ჩაეფარება!
„დაიღუპება მისი სპა-ჯარი,
„სამეფო კვერთხი დარჩება კიროსს,
„და ბალტაზარის ბედი ეს არის,
„რაც უნდ იწუხოს, რაც უნდ იტიროს!
„მიდიელები დგანან კარებზე,
„იმისი ჯარი ანგრევს ბაბილონს,
„და განთიადზე, დიდო ბალტაზარ,
„შენ ეღირსები სწორედ ამ ბოლოს!“

ი. ევდოშვილი



ბრძოლა გაზაფხულისა ზამთართან. — სურათი მიულერისა.



ქუჩა მუკდენში რუსის ჯარის წასვლის დღეს.

# კარმელა

მოთხრობა ედ. დე-ამიჩისისა

(იტალიურით)

## IX*)

ვახშამი მეორე დღისათვის იყო დანიშნული. საღამოზე კარმელა წავიდა და ჩვეულებისამებრ აფიცრის სახლის კიბის წინ ჩამოჯდა. აფიცერი და ექიმი დაბრუნდნენ თუ არა, ქალი ოთახში აიყვანეს. მოსამსახურე სალდათს ნაბრძანები ჰქონდა ბარგი აექოთებინა და ისე დაეწყო, ვითომ წასასვლელად ემზადებოდნენ. მაგიდაზე, სკამებზე, დივანზე საცვლები, ტანისამოსი, წიგნები და ქაღალდები ეყარა ერთმანეთში არეული, ოთახის შუაგულ ალაგას ორი ზანდუკი იდგა გაღებული და სალდათი შიგ ბარგს ალაგებდა.

კარმელამ ეს არეულ-დარეულობა რო დაინახა, ცოტათი გაუკვირდა და ღიმილით აფიცერს გადახედა.

— ბარგს ვალაგებ, წასასვლელად ვემზადები,— უთხრა აფიცერმა.

კარმელამ ხელახლა მიიხედ-მოიხედა ოთახში და თვალების პაჭუნი დაიწყო, რაიც ადრე არასდროს მომხდარა. აფიცერი გულდადებით დააკვირდა.

— მივდივარ, აქედან ძალიან შორს მივდივარ, ორთქლმავალ გემში უნდა ჩავჯდე.

— მაშ ორთქლმავალ გემით მიდიხარ?

— ჰო... ხვალღამ მივდივარ.

— ხვალღამ,— განიმეორა მაშინალურად კარმელამ. ერთს სკამზე გიტარა დაინახა, სიმს თითი ჩამოჰკრა და დააჟღარუნა.

— გული არა გწყდება, რომ მივდივარ? არა გწყინს, რომ მეტად ველარ დამინახავ?

კარმელამ თვალი თვალში გაუყარა. მერე თავი ძირს დახარა, თითქო რაღასაც ფიქრობსო, აფიცერმა მეტი არაფერი უთხრა და დაბალის ხმით სალდათს დაუწყო ლაპარაკი, თანაც მიეშველა ტანისამოსის დაკეცვას.

ქალი უნძრევლად უყურებდა. ცოტა ხნის უკან აფიცერი მიუახლოვდა და უთხრა:

— ახლა კი წადი, კარმელი; გეყოფა, რაც აქ იყავი; შინ წადი, აბა, გასწი.

მკლავში ხელი მოჰკიდა და ნება-ნება კარებისაკენ წაიყვანა. ქალი მოტრიალდა და ხელი გამოიშვირა აფიცრის ყელზე შემოსახვევად...

— არ მინდა!— უთხრა აფიცერმა.

კარმელამ ორჯერ-სამჯერ ფეხები იატაკზე დაატყაპუნა, დაიკვნესა, ხელები ხელახლა გაიშვირა, კისერზე მოჰხვია, ტუჩები ლოყასთან მიიტანა, მაგრამ კოცნით კი არ აკოცა, თითქო სხვა რაღაც მოაგონდა და იმაზე ფიქრობსო. შემდეგ ჩუმად, სულ ჩუმად წავიდა, ნება-ნება; არც გაუცინია, არც უკან მოუხედნია. სახეზე არაფერი ეხატებოდა, გონება დაბნეულსა ჰგავდა, თითქო ათას რაზედმე ფიქრობსო და იმავე დროს-კი არაფერზე ფიქრობდა.

— ეს რა ამბავია?— გაიფიქრა აფიცერმა.— იქნება, კარგი ნიშანი იყოს?.. ღმერთმა ინებოს! ნეტავი იქნება!

მეორე დღეს აფიცერი სახლიდან არ გამოსულა. აღარც კარმელას სანახავად ჩამოსულა, თუმცა იცოდა, რომ ქალი, კვლავინდებურად, მის კარებთან იჯდა. მთელ ნაშუადღევს იმას იზეპირებდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ვახშამზე. მისს პატარა სახლში ორი ოთახი და ერთიც სამზარეულო იყო. საწოლ ოთახსა და შესავალ კარს შუა უფრო მოზრდილი ოთახი იყო. ორისავ ოთახის სარკმლები მოედანს გასცქეროდა. უბრძანა, ვახშმად სუფრა ამ დიდ ოთახში გაეშალათ. მეზობლად რესტორანის პატრონს სასადილო მაგიდა სთხოვა, თვითონ რესტორანის პატრონიც მოვიდა, რომ თვალყური ედევნებინა სამზარეულოში საჭმლის კეთებისათვის, რაც შეიძლებოდა, ფუფუნებით მოამზადა, რის მომზადებაც შეეძლო, თვითონვე მოიტანა სუფრაზე ყველაფერი ისე, როგორც ამ სამის წლის წინად, უკვე წასულ აფიცრის დროს. საათის ცხრაზე პირველად მოვიდა ექიმი.— ქალი ძირს არის,— უთხრა შემოსვლისათანავე მეგობარს!— შემომჩივლა, ჩემი ლამაზი აფიცერი ჯერ არ მინახავსო. რო ვკითხე, ხომ კარგ გუნებაზე ხარ-მეთქი? თვალი თვალში გამიყარა და „ორთქლმავალი გემი“-ო, მიპასუხა. არც კი გაუღიმნია, მაგრამ ვინ იცის, მის თავში რა აზრი ტრიალებს! მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის. იფ, ერთი ამ საჭმლების გემოცა ვნახოთ!

ორთავე მეგობრებმა გაშლილს სუფრას თვალი გადაავლეს და შეუდგნენ წარმოსადგენ დრამისთვის თავიანთის როლების განმეორებას. როცა დარწმუნდნენ, რომ ყველაფერი

*) იხ. „დამატება“, № 304.



გადაშენებული ცხოველი. ბრონტაზაურის ჩონჩხი, აღმოჩენილი ამერიკაში, დაცულია ნიუიორკის საბუნებისმეტყველო მუზეუმში. სიმაღლე აქვს რვა არშინი, სიგძე 29 არშინი და იწონის 8968 ფუთს.

კარგად იცოდნენ, ექიმმა ჰკითხა:—სხვებმაც ხომ ისწავლეს თავიანთი როლებიო?—იმედი მაქვსო,—უპასუხა აფიცერმა.

ჯერ ათი არ იყო, რომ კარებს ქვეიდან მოისმა ფეხების ბრახუნი და ერთმანეთში არეული ხმაურობა.—მოვიდნენ!—სთქვა ექიმმა და სარკმელში გადაიხედა.—სტუმრები არიან.

სალდათი კარის გასაღებად ჩამოვიდა. ხოლო ექიმმა სამთლებს მოუკიდა, მაგიდის ოთხივ კუთხივ რომ იდგა.

— რო იცოდე, გული რა რიგ მიცემს!—სთქვა აფიცერმა.

— ყოჩაღად იყავ, ყოჩაღად!—უპასუხა მეგობარმა და მკლავზე მოუჭირა.

ამ დროს კარმელას ხმაც მოისმა: —ორთქლმავალ გემზე მეც მივდივარ,—და ტაში შემოჰკრა.

— გული გაიმაგრე!—ყურში წასჩურჩულა ექიმმა მეგობარს;—ხო გაიგონე? წასვლის აზრი ხსოვნაში მაგრად ჩასჭდევია; კარგი ნიშანია; ყოჩაღად იყავ; აი სტუმრებიც მოვიდნენ.

კარი გაიღო და ღიმილითა და თავისკვრით შემოვიდნენ მოურავი, მოსამართლე და დანარჩენები, ვინც საყავოში იყვნენ შეკრებილნი. სანამ აფიცერი სალამს აძლევდა და ხან ერთსა და ხან მეორეს მადლობას უხდიდა, ექიმმა კუთხეში უძრავად მდგარ სალდათს ყურში რაღაც უთხრა; სალდათიც მაშინათვე გავიდა. ერთს წუთს უკან, არავის შეუმჩნევია, ისე კარმელა შემოიყვანა და ორივენი ფეხაკრეფით მეორე ოთახში შევიდნენ.

— აბა, ბატონებო, დავსხდეთ, — სთქვა აფიცერმა.

ყველანი დასხდნენ. სკამების რახა-რუხსა და სუფრის გარშემო შემომწკრივებულ ხალხის ხმაურობაში არაფერი ისმოდა. მთელი დღეა არ მინახავს ჩემი აფიცერი!—წამოიძახა ქალმა, გააღო კარი და მოინდომა აფიცერთან მისვლა. მაგრამ სალდათმა, მისი მოძრაობა არავის გაუგონია ისე, კარმელა ოთახში დაიჭირა, სკამი დაუდგა და ზედ დასვა; მერე კარი ოდნავ მიაღო. ქალმა სახე კარს მიადო და ყურება დაუწყო. სტუმართაგანი არავინ მოტრიალებულა აქეთკენ, არც მაშინ და არც მერე არავის მოუხედნია, და კარმელაც უნძრევლად იჯდა.

დაიწყო და თან-და-თან იზრდებოდა დანა-ჩანგლების, ჭიქების, თეფშების ჩხარუნი, სიცილი, ლაპარაკი; ერთი-მეორეს ლაპარაკს არ აცლიდნენ, ერთი-მეორეს პირიდან სიტყვას სწყვეტდნენ. ყველანი და, მათ შორის, აფიცერი და ექიმი, მადიანად შეექცეოდნენ საჭმელსა, მხიარულად სვამდნენ სადღეგრძელოებსა. დაიწყეს მიმავალ რაზმის სალდათებისა და უნტერ-აფიცრების ქება-დიდება, მეტის-მეტი წესიერება სუფევს მათს შორის, მეტად ყოჩაღები და ზრდილნი არიანო; მერე შეაქეს ღვინისა და საჭმელების ღირსება; სიტყვა ჩამოაგდეს იმაზე, რომ დარი მშვენიერია, ღამე სანეტაროა და ასეთ პირობებში მოგზაურობას არაფერი სჯობია; მერე პოლიტიკას შეეხნენ, ხელახლა დაუწყეს ქება-დიდება სალდათებს, ხელახლა მოიგონეს მოგზაურობა. თან-და-თან შეჰყვნენ და უფრო ხმა-მაღლა ლაპარაკს, ჭიქებში ქუზას არა სტოვებდნენ, თან და თან უფრო ძლიერად ხარხარებდნენ; ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ ღვინო მოეკიდათ, სახე ყველას წამოუჭარხლდა, თვალები უბრწყინავდნენ, ტუჩებს ძლივას ამოძრავებდნენ და წამდაუწუმ ენა ებმოდათ. თითქმის შეუმჩნევლად თითოეული თავისს როლს სერიოზად მოეკიდა და საუცხოვოდაც შეასრულა. მაგრამ სხვებს რაც უფრო ავიწყდებოდათ, თუ რისთვის იყვნენ აქ შეკრებილნი და რაც უფრო მხიარულებდნენ, აფიცერი გრძნობდა, რომ გული უფრო და უფრო უცემდა და სახეზე აშკარად ეტყობოდა, თუ როგორ ღელავდა და ბუბაქრობდა მისი გული. მისს მღელვარებას ექიმის მეტი ვერავინ ამჩნევდა. ექიმი ჟამდაჟამ დაბალის ხმით ამხნევებდა და თანაც ცალი თვალი ქურდულად კარმელაზე ეჭირა. ქალი უნძრევლად იჯდა მეორე ოთახში და მოღებულ კარიდან გულ დასმით თვალს ადევნებდა მოსუფრალთ. სალდათმა დრო შეირჩია და ოთახიდან გაიპარა.

ცოტა ხანს უკან ოთახში სამი სალდათი შემოვიდა, თითოეულმა მხარზე შემოიდო თითო ზანდუკი, კუთხეში რომ იდგა, და სამნივე ოთახიდან გავიდნენ. კარმელა თვალს ადევნებდა მათს მოძრაობას, სანამ თვალთაგან არ მოეფარნენ და მერე ისევ სუფრას დაუწყო ყურება.

ექიმმა მოურავს რაღაც წასჩურჩულა.

— სადღეგრძელო დავლიოთ, ბატონებო!—წამოიძახა მოურავმა, ხელში ღვინით სავსე ჭიქა აიღო და ზეზე წამოდგა.—ეს გაუმარჯოს ჩვენს მხნე აფიცერს, აქედან მიმავალ ყოჩაღ



გურია.—გურული ქალები.

რაზმის უფროსს. მისი სახელი ჩვენს მხარეში სიამით მოსაგონარ იქნება მარად ჟამს...—ერთხანს დაფიქრდა და მერე დასძინა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაუმარჯოს ბატონს აფიცერს, აქედან რომ მიბრძანდება!

ყველამ ხელში ღვინით სავსე ჭიქები აიღო და დაიძახა:— გაუმარჯოს!

მოურავი მძიმედ დაეშვა სკამზე.

ყველამ დალია სადღეგრძელო. ისევ დაიწყეს ლაპარაკი სალდათებისა, პოლიტიკისა, ღვინისა და მგზავრობის შესახებ...

— ბატონო!—მიმართა ექიმმა ხარჯთამკრეფს,— თუ შეიძლებოდეს, გვიმღერეთ რამე.

ყველამ ერთხმად ბანი მისცა ექიმს: გვიმღერეთ, გვიმღერეთო! ხარჯთამკრეფი ცოტათი დაიჭყანა, ბოდიში მოიხადა, ერთხანს უარზედაც დადგა, მერე ჩაიცინა, ჩაახველა, ხელში გიტარა აიღო, დაუკრა და დამღერა. სტუმრებმა ხმაურობა ასტეხეს და მომღერალს გააწყვეტინეს.—აბა ახლა მე დავუკრავ!—წამოიძახა აფიცერმა და ყველანი დაჩუმდნენ. აიღო გიტარა, მოაწყო, ბარბაცით ზეზე წამოდგა და დაიწყო... სახე გაფითრებული ჰქონდა და ხელები უკანკალებდა, თითქო აცივებსო; მიუხედავად ამისა დიდის გრძნობით და აღტაცებით დამღერა:

კარმელა, მზად ვარ მთელი სიცოცხლე
მოსვენებული შენს ფეხთით ვიჯდე,
შენ შეგცქეროდე ვარსკვლავ თვალებში,
შენს ტურფა სახეს ვუამბორებდე...


გაზაფხული

კარმელა უფრო დ უფრო გულმოდგინედ უგდებდა ყურს, თან ჟამ დაჟამ წამწამებს ახამხამებდა, თითქო რაღაც მძიმე ფიქრმა შეიპყროვო.

— ვაშა! ჩინებულია! ნამდვილ ანგელოზსავითა მღერის!—წამოიძახეს ერთხმად სტუმრებმა. აფიცერმა განაგრძო:

ხოლო სიკვდილის უკანასკნელ წამს
შენ მოგეფერდნობი გაფითრებული,
მოვკვდები მშვიდად, აღუშფოთებლად,
ვით ყრმა, ნახევრად მიძინებული.

სიტყვები, სიმღერის ხმა ყოველივე მშვენიერი იყო, როგორც მშვენიერი და უებრო იყო გარშემო გამეფებული ღამე.

— ვაშა, ვაშა!—ჰყვიროდნენ სტუმრები. აფიცერი ძალზე დაღლილსავით დაეშვა სკამზე, სტუმრებმა ისევ ყვირილი შეჰქმნეს. კარმელა ქანდაკებასავით იყო, გაშეშებული, თვალებს აფიცრის სახეს არ აშორებდა; ექიმი ქურდულის თვალებით უყურებდა ქალს.

— სმენა, ბატონებო!—წამოიძახა აფიცერმა. ყველამ ხმა გაჰკმინდა. ღია სარკმელში მოედნიდან შემოდიოდა მხიარულ საკრავების და შეკრებილ ხალხის ფუსფუსის ხმა. ათი თუ თორმეტი ადგილობრივი მესაკრავე უკრავდა და გარსაც შემოხვევოდნენ მცხოვრებნი, რომელთაც ეგონათ—რაზმი მართლა მიდის დაბიდანაო.

კარმელა წამოხტა და სარკმლისაკენ გაექანა. მისმა სახემ ნელ-ნელა გამოცოცხლება იწყო. ფართედ დაღებულ თვალებით შეუწყვეტლივ რიგრიგად ხან სარკმელს უყურებდა, ხან აფიცერს და ხანაც სტუმრებს, თითქო უნდოდა საკრავების ხმაც კარგად გაეგონა და იმავე დროს არ გამოჰპარვოდა სულ მცირედი მოძრაობა შეკრებილთა.

მესაკრავეთ დაკვრა რომ გაათავეს, ხალხმა ტაში დაუკრა, სწორედ ისე, როგორც ამ სამის წლის წინად.

ამ დროს შემოვიდა ფეხაკრეფით სალდათი და აფიცერს ხმამაღლა მოახსენა:

— ბატონო აფიცერო, გემი გელოდებათ.

აფიცერი წამოდგა და სთქვა:

— ახლა-კი უნდა წავიდე.

თ. ს.

(დასასრული იქნება)

## ზოგიერთ ქალის ცხოვრება


ზაფხული



შემოდგომა



ზამთარი

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი

Дов. ценз. Тифлисъ, 4 апрѣля 1905 г. Электропеч. изд. т—ва. груз. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამ—ბა.